



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის
მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

17.03.2020

28.04.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)
განათლების საფეხური	სასერტიფიკატო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუათათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ჩარკვიანი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შემუშავდა 2019 წელს და მიზნად ისახავს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადებას, რომელიც პროგრამის მეშვეობით შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების სახით შეძლებს სათანადოდ უპასუხოს პროფესიულ მოთხოვნებს. პროგრამა შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას ჩატარდა რამდენიმე კვლევა, მათ შორის, 300 კრედიტიანი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა 2018 წელს. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები. პროგრამაში გათვალისწინებულია, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის „მასწავლებელთა დეფიციტი“ შედეგები.

უშუალოდ უნივერსიტეტის მიერ ჩატარდა, ასევე, სხვადასხვა სპეციალბებში მასწავლებელთა მომზადების მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები და ინტერვიუები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა გამოკვეთილიყო შესაბამის სფეროში არსებული გამოწვევები და მოთხოვნები. ჩატარებული სამუშაოს შედეგები აისახა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირებებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული სწავლების კომპონენტს ასევე პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც ხორციელდება პირველივე სემესტრიდან ორი სახით: 1. სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა 2. პრაქტიკის დამოუკიდებელი სასწავლო კურსები.

სასწავლო კურსში ინტეგრირებული (ჩაშენებული) პრაქტიკის კომპონენტი შესაბამისობაშია თითოეული კურსის შინაარსთან. ხოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები ორიენტირებულია და აჯამებს სწავლების კომპეტენციის გამომუშავებას. ამასთან, დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსს სტუდენტი გადის პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში შესაბამის საგანსა და კლასებში და სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობის მინიმუმ 60% ეთმობა სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად ან პრაქტიკის კომპონენტში ჩართული მხარეების თანამონაწილეობით განხორციელებულ სასწავლო აქტივობებს. სასკოლო პრაქტიკის ამგვარი მოდელი ეფუძნება თანდათანობით გადასვლას პასიურიდან აქტიურ ფაზაზე ანუ აქტივობების დაკვირვება ანალიზიდან ამ აქტივობების დაგეგმვასა და დამოუკიდებლად განხორციელებაზე. აღნიშნულმა მოდელმა პილოტირება გაიარა ილიას უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების მიმდინარე პროგრამების ფარგლებში და მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რაც თანაბრად 30-30 კრედიტის მოცულობით არის განაწილებული დარგობრივ (საგნობრივ) და განათლება-ფსიქოლოგიის ორ ბლოკს შორის. კრედიტების ამგვარი განაწილება პროგრამის შინაარსში გააზრებულ ბალანსს ქმნის და კვალიფიციური მასწავლებლის მომზადების მყარ წინაპირობას წარმოადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. მის განხორციელებაში ჩართულია 15 პედაგოგი (მათ შორის 7 აკადემიური და 8 მოწვეული პედაგოგი). პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დაგეგმილია 15 სტუდენტის მიღება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო დისტანციურად განხორციელდა 2020 წლის 17 მარტს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის

წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურად შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე (სხვა სპეციალობებში მასწავლებლის მომზადების) პროგრამების სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ელექტრონულად მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის შერჩევითი პრინციპით გადამოწმება. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც კონსტრუქციულად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

„ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტის 2.1., 2.2., 2.3., 2.4., 2.5. და 2.6. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად, მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტის 3.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; შესაბამისად, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტის 4.1., 4.2., 4.3. და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან. მეხუთე სტანდარტის 5.1., 5.2. და 5.3. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; შესაბამისად, მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო კურსის „ სასკოლო ურთიერთობების ეთიკა“ სილაბუსში მითითებული წინაპირობა „სასკოლო ასაკის ბავშვის განათლების ფსიქოლოგია“ შეიცვალოს კურსის ახალი დასახელებით.
- სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს შემაჯამებელი პორტფოლიოს „ჩათვლის“ სახით შეფასების ფორმა, რათა არ მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსებში შემავალი და ერთხელ უკვე შეფასებული აქტივობების ხელშეშორება „ჩათვლით,, შეფასება პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე.

- ზოგიერთ პროგრამაზე (მაგ. ინგლისურის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა) სტუდენტებს სთავაზობენ პროფესიული განვითარების ტრენინგებს და სხვა სახის არაფორმალურ განათლებას. კარგი იქნება, თუ ტრენინგების შეთავაზება მოხდება ყველა მიმართულების სტუდენტებისთვის საგნობრივი და პედაგოგიური განვითარების მიზნით.
 - უმჯობესი იქნება, თუ პერსონალის CV იქნება ერთ ფორმატში, რაც გააადვილებს თითოეულ მათგანში საჭირო ინფორმაციის მოძიებას და ამასთანავე, ყველა მათგანი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
 - პროგრამა ამზადებს მასწავლებლებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობა გახდება ნებისმიერი საჭიროების მოსწავლის ინკლუზია განათლების სისტემაში. ამის მისაღწევად, სასურველია, მოწვეული ლექტორების იმ ნაწილს, რომელთა პროფესია და სილაბუსები არ ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის და ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის პრინციპებს, შესთავაზონ ტრენინგები ამ მიმართულებით.
 - პროგრამის მიზანია თანამედროვე მასწავლებლის აღზრდა. როგორც მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებისგან გახდა ცნობილი, პროგრამის დასრულების შემდეგ მათი თავდაჯერება მაღალია სწავლების ყველა ასპექტში გარდა ერთისა - ნევროლოგიური, სოციალური და სხვადასხვა სინდრომით გამოწვეული რთული ქცევის მართვისა. პროგრამის ერთ-ერთი სილაბუსი „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა“ შეიცავს კლასის მართვის სტრატეგიებს, პოზიტიური გარემოს შექმნას, უდისციპლინო ქცევისგან თავის არიდების გზებს, თუმცა მასწავლებელს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის აგრეთვე ესაჭიროება ქცევის გამოყენებითი ანალიზის, დევიაციის ფსიქოლოგიის, ბრაზის მართვის, ქცევის დარღვევის ნევროლოგიური და სოციალური საფუძვლები. მასწავლებლის უფლებების ცოდნა გამწვავებული ქცევისას გაკავების პროცესში; დევიაციური ქცევის დაფიქსირებისას შესაბამის უწყებებთან რეფერირების პროცესის ცოდნა. პროგრამის სრულყოფისთვის მოცემულია რჩევა, გარდა არაფორმალური განათლებისა, რომლის საშუალებას ტრენინგის სახით იძლევა უნივერსიტეტი, პროგრამას დაემატოს ქცევის მართვის მინიმუმ არჩევითი კურსი.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიზნად ისახავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადებას, რომელიც აღჭურვილია როგორც თეორიული ცოდნით, ასევე შესაბამისი პრაქტიკული უნარებით და სავსებით შეესაბამება მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამას საფუძვლად უდევს მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებელი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით ითვალისწინებს განათლების სფეროში ჩატარებული რამდენიმე ფართო თუ მცირემასშტაბიანი კვლევის შედეგებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის მთავარი პრინციპია ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, რასაც წარმოადგენს პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე დაგეგმილია განათლების სფეროს თანამედროვე სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და თეორიული ცოდნის გადაცემასა და პრაქტიკული გამოცდილების ფართოდ გავრცელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის “მასწავლებელთა დეფიციტის კვლევა” მონაცემები;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2> ;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდრო კავშირშია და გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. შედეგები დაფუძნებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონით გათვალისწინებულ აღმწერზე, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება მასწავლებლის მომზადების სასერთიფიკატო პროგრამებს. პროგრამის სწავლის შედეგები ემყარება, ასევე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ის ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა, რომელსაც კურსდამთავრებული თანდათანობით იძენს პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ადსტურებს, რომ პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა უზურნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგების განსაზღვრისა და ფორმირების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, დამსაქმებლები, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები. წარმოდგენილი პროგრამა, როგორც უკვე აღინიშნა, ახალია, თუმცა სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში გამოყენებული იყო მასწავლებლის მომზადების მიმდინარე პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებები. ყველა ჯგუფთან მუშაობა მიმდინარეობდა ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვების ფორმით, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით, ხოლო მიღებული შედეგები და რეკომენდაციები აისახა პროგრამის სწავლის შედეგებში.

უნივერსიტეტში უკვე მიმდინარე პროგრამების მსგავსად, წარმოდგენილი პროგრამის ამოქმედებისთანავე განხორციელდება პროგრამის მიმდინარეობისა და სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასების მიმდინარე პრაქტიკა გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, ხოლო მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომდევნო სემესტრში ხორციელდება ანგარიშის წარდგენა და, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მიღება.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებული იქნება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასებასთან ერთად განსაკუთრებულ როლს ითამაშებს სასკოლო პრაქტიკის კურსში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასევე შემაჯამებელ პორტფოლიოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, რადგან მათში აკუმულირებულია პროგრამის ყველა სწავლის შედეგი, რაც საშუალებას იძლევა შეჯამდეს პროგრამის კურსებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც შემუშავებულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა) შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით. ამგვარი მიდგომა ახალი პროგრამის შემთხვევაშიც იძლევა სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების გონივრული განსაზღვრის საშუალებას.

ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, როგორც შეფასების პერიოდული და აუცილებელი ელემენტი, მხარდაჭერილია სკოლის კურიკულუმის ექსპერტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ. პროგრამის ხელმძღვანელთან მათი თანამშრომლობა პროგრამის შედეგების შეფასების პროცესში ხარისხის კულტურის თვალსაზრისითაც არის აღსანიშნავი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

პრაქტიკის დოკუმენტი;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ამასთან, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს როგორც საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა, ასევე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდა.

ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება აპლიკანტებისათვის.

შიდა გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით და მოიცავს საგამოცდო კომისიის მიერ აპლიკანტისთვის წარდგენილი ქეისის ანალიზს. აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს ზოგად განათლებაში მიმდინარე სიახლეების ცოდნა და მათი პრაქტიკაში განხორციელების მზაობა, მოტივაცია და პრობლემის გადაჭრისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. აპლიკანტისთვის ცნობილი იქნება შეფასების მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმებიც, რომლებიც პროგრამის დანართის სახით არის წარმოდგენილი.

ამდენად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი საგნობრივი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის

მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განხორციელდა ეტაპობრივად, ორი წლის განმავლობაში და ამ პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ჩართული იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. გამოყენებული იქნა რამდენიმე კვლევის შედეგი, რომელიც ჩატარდა როგორც ზოგადად განათლების სფეროში, ასევე, უნივერსიტეტის მიერ უშუალოდ დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ასევე, ეტაპობრივად მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამის კურიკულუმსა და სწავლის შედეგებზე. პირველადი ვერსიის მომზადების და განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფმა მიღებული უკუკავშირის მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავა საბოლოო ვერსია და შექმნა სწავლის შედეგების რუქა.

გარე შეფასების მიღების მიზნით პროგრამა გაიგზავნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. რეკომენდაციების მიღების მიზნით პროგრამა გაიგზავნა, ასევე, პარტნიორი სკოლების პერსონალთან. მიღებული უკუკავშირის განაალიზების შემდეგ ჩამოყალიბდა კურიკულუმის და სილაბუსების შეჯერებული ვერსია, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და სწავლა ხორციელდება 2 სემესტრის განმავლობაში. სწავლის შედეგები ორიენტირებულია როგორც მასწავლებლისთვის აუცილებელ საბაზისო ცოდნისა და უნარების, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზსა და პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან.

კურიკულუმში 60 კრედიტი ორ თანაბარ 30-30 კრედიტიან ბლოკად არის გაყოფილი. პირველ სემესტრში სტუდენტი სწავლობს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდულის კურსებს, რასაც ემატება საგნობრივი მეთოდის ერთი კურსი. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ეს მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან, რომლებიც ორიენტირებულია თანამედროვე პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნის, გაცნობიერებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებაზე. სტუდენტი ეცნობა და აცნობიერებს, ასევე, ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს და სწავლობს მათი პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების მეთოდებს.

როგორც აღინიშნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების კომპონენტისთვის კურიკულუმში დათმობილია ასევე 30 კრედიტი.

ორივე ბლოკის შემადგენელ ზოგიერთ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა აქვს

განსაზღვრული, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას. ამგვარი წინაპირობების არსებობა განპირობებულია ცოდნის თანდათანობით, ეტაპობრივად ათვისების პროცესით, რომელიც მარტივიდან რთულზე გადასვლის პრინციპს ეფუძნება და ცოდნის დაშენების საფუძველს უქმნის სტუდენტს. ერთ-ერთი სასწავლო კურსის, კერძოდ, „სასკოლო ურთიერთობების ეთიკა“ წინაპირობად დასახელებული „სასკოლო ასაკის ბავშვის განათლების ფსიქოლოგია“ არ მოიძებნა კურიკულუმში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინაპირობად მოცემული იყო ძველი დასახელების მქონე კურსი, რაც შემდგომ შეიცვალა და აღნიშნული შეუსაბამობა ტექნიკური ხარვეზის შედეგი იყო.

ამავე დროს, პირველ სემესტრში გავლილი პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და სპეციალობის კომპონენტის სავალდებულო კურსები სასკოლო პრაქტიკის შემაჯამებელ კურსზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს. სასწავლო კურსების ამგვარი ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენას, რაც აუცილებელია საკლასო და კლასგარეშე აქტივობების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარებისათვის.

კურიკულუმში გათვალისწინებულია შემაჯამებელი პორტფოლიოს კომპონენტიც, რომელიც მოიცავს მთლიანად სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებულ ნაშრომებს. მთლიანობაში დამოუკიდებელი სასკოლო პრაქტიკის ბლოკი მოიცავს 6 კრედიტს.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელსა და კურსის ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გათვალისწინებულია სასემინარო შეხვედრები პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების შუალედურ და დასკვნით ეტაპზე. ამგვარი თანამშრომლობა (ზოგჯერ შეხვედრა ტარდება უშუალოდ პრაქტიკის განხორციელების ადგილზე, სკოლაში) მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პრაქტიკის გამჭვირვალობას, სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფას, გამოცდილების უშუალოდ გაზიარებას და, საბოლოო ჯამში, თანამშრომლობის გაღრმავებას სკოლასა და უნივერსიტეტს შორის.

პრაქტიკის კომპონენტის შემუშავებისას, კერძოდ, სასწავლო კურსებში ჩამენებული პრაქტიკა და შემაჯამებელი პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები, გაანალიზებული იქნა ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც ამგვარი მოდელი აპრობირებულია და ხორციელდება (მაგალითად, გერმანიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტები).

სავალდებულოსთან ერთად არჩევითი კურსების შეთავაზება საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი პროფესიული ინტერესის გათვალისწინებით წარმართოს სწავლის პროცესი და მისთვის საინტერესო მიმართულებით გაიღრმავოს კომპეტენციები.

პროგრამის ამოქმედების შემდეგ მთელი ინფორმაცია კურიკულუმისა და სასწავლო კურსების შესახებ გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ელექტრონული სისტემა „არგუსი“ საშუალებას მისცემს სტუდენტს გააკეთოს არჩევანი განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

<p>პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;</p> <p>პროგრამის სასწავლო გეგმა;</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსები;</p> <p>პრაქტიკის დოკუმენტი;</p> <p>პროგრამის გარე შეფასების შედეგები;</p> <p>არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”;</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზი და სასწავლო კურსის „ სასკოლო ურთიერთობების ეტიკა“ სილაბუსში მითითებული წინაპირობა „სასკოლო ასაკის ბავშვის განათლების ფსიქოლოგია“ შეიცვალოს კურსის ახალი დასახელებით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და კუმულატიურად ასახავს მათ. თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან დასტურდება სწავლის შედეგების რუკით, რომელიც ცალკეული კურსის თუ მათი ერთობლიობის ამა თუ იმ შედეგზე გასვლის ნათელ სურათს ქმნის. ამასთან, სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გათვალისწინებულ შესაბამისი დონის აღმწერს და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

სასწავლო კურსები შერჩეული და იდენტიფიცირებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგნობრივ და განათლებისა და ფსიქოლოგიურ ბლოკებს შორის დაცული წონასწორობა უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს და ემსახურება მასწავლებლის პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას პროგრამის ფარგლებში.

სასწავლო კურსების კრედიტებით განსაზღვრისა და თითოეულ კურსში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების პროცესში ჩართული იყო მთელი პედაგოგიური პერსონალი. კონკრეტული სასწავლო კურსის პედაგოგი წყვეტდა, რამდენი საკონტაქტო საათი სჭირდებოდა ამა თუ იმ სასწავლო კურსს, რაც მათთან ინტერვიუებთან დასტურდება. ერთიდაიგივე მოცულობის სასწავლო კურსებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვაობს საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ასევე გონივრული და დიფერენცირებული მიდგომის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. ამდენად, გააზრებულია თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, აქტივობების ხასიათი, დავალებების მოცულობა და სირთულე.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო რესურსები. ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. რიდეები, რომლებიც უშუალოდ პედაგოგის მიერ არის შექმნილი. მითითებული ლიტერატურა ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის “moodle”-ზე. სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, როგორცაა: ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა;</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსები;</p> <p>სწავლის შედეგების რუკა;</p> <p>უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი;</p> <p>არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”;</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) თავისი ხასიათით სპეციფიკურია. თეორიული ცოდნის ათვისების გარდა ის მოითხოვს პრაქტიკული პედაგოგიური უნარების გამომუშავებას და გაღრმავებას, რაც პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის საფუძვლიანი და გააზრებული სახით უნდა ხორციელდებოდეს. კურიკულუმში წარმოდგენილია პრაქტიკის განხორციელების მოდელი, რომელიც ორი ფორმატით მიმდინარეობს:

1. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა-9 კრედიტი;
2. სასკოლო პრაქტიკის კურსები - 6 კრედიტი.

ინტეგრირებული პრაქტიკის მქონე სასწავლო კურსები ე.წ. ჩაშენებული პრაქტიკის სახით ორიენტირებულია თავად ამ კურსის თემატიკაზე და ამ მიმართულებით აღრმავებს სტუდენტის უნარ-ჩვევებს. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა ნაბიჯ-ნაბიჯ გამომუშავდეს პრაქტიკული კომპეტენციები, სასწავლო კურსების თავისებურებათა გათვალისწინებით.

თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნა და ჩაშენებული პრაქტიკის მეშვეობით გამომუშავებული უნარები ღრმავდება პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის სახით, რომელიც სტუდენტმა მეორე, დამამთავრებელ სემესტრში უნდა გაიაროს. ამ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოითხოვს მჭიდრო პარტნიორობას სკოლებთან, რომელთა ბაზაზეც განხორციელდება ეს კომპონენტი. ამდენად, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ სკოლებთან და მკაფიოდ განსაზღვრული აქვს პრაქტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი. პრაქტიკის განხორციელების მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულია აქტიური თანამშრომლობა ლექტორსა და პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელს შორის. გათვალისწინებულია, აგრეთვე, პრაქტიკის მონიტორინგი მისი განხორციელების ყველა ეტაპზე. პრაქტიკა იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და სკოლის პერსონალის თანამშრომლობით.

მრავალფეროვანია პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების და შეფასების ფორმები, კერძოდ, ის მოიცავს ინსტრუქციებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობას, ანგარიშს;

გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ უკუკავშირის მიღება თითოეული პრაქტიკული ხასიათის აქტივობის შემდეგ. რეკომენდაციებს აყალიბებენ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი და პრაქტიკის უშუალოდ განმახორციელებელი სკოლის მასწავლებელი. პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებსა და პრაქტიკის დოკუმენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

პრაქტიკის დოკუმენტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლება ხორციელდება ლექციებისა და სემინარების ფორმატით. კურიკულუმში გათვალისწინებული დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსი, რომელიც ხორციელდება პარტნიორ სკოლაში დაგეგმილი ვიზიტის/ვიზიტების ფორმატით. სემინარზე განიხილება და ანალიზდება ლექციებზე შეძენილი თეორიული ცოდნა, ხოლო შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავება თუ გაღრმავება ხორციელდება უშუალოდ სკოლაში პრაქტიკული კომპონენტის გავლის მეშვეობით.

სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და სასწავლო კურსების განსხვავებული ხასიათიდან გამომდინარე გამოიყენება ისეთი სახეობები, როგორცაა, ლექცია, სამუშაოჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ. სასწავლო პროცესში განსხვავებული შესაძლებლობების სტუდენტთა შეუფერხებლად ჩართვის მიზნით უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ამგვარად ხდება განსხვავებული მოთხოვნების და საჭიროებების გათვალისწინება, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების მორგება და ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა განსხვავებული აკადემიური მომზადების თუ სწიროების მქონე სტუდენტებისათვის. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს რამდენჯერმე იქნა აღნიშნული, რომ ისინი პრაქტიკულად იყენებენ სწავლა-სწავლების უნივერსიტეტში დანერგილ მეთოდებს და საშუალება აქვთ ნებისმიერ ლექტორს კონსულტაციის გზით გაუზიარონ შთაბეჭდილებები, ითხოვონ განმარტება და დაზუსტება მათთვის საინტერესო საკითხზე. კონსულტაციები წინასწარ იგეგმება უშუალოდ ლექტორთან ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

პრაქტიკის დოკუმენტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100 ქულიანი სისტემა. სტუდენტი ფასდება მინიმუმ სამი კომპონენტით: ორი შუალედური და ერთი დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასება ხორციელდება სემესტრის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი შეფასება სემესტრის ბოლოს, სპეციალურად გამსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. შეფასების ყველა ფორმითვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.</p> <p>თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების</p>

გამჭვირვალობას, რადგან წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. დამატებით, სემესტრის დასაწყისში, პირველივე ლექციაზე ლექტორი სტუდენტებს აცნობს სასწავლო კურსში განსაზღვრულ შეფასების სისტემას და კრიტერიუმებს.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას მას აქვს შესაძლებლობა საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

კურიკულუმში გათვალისწინებულია კიდევ ერთი, დამატებითი შეფასების კომპონენტი შემაჯამებელი პორტფოლიოს სახით. მასში სტუდენტი თავს უყრის იმ ნამუშევრებს, რომელიც მან შეასრულა მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული აქტივობების სახით. ამდენად, პორტფოლიოში წარმოდგენილი ნაშრომები ერთხელ უკვე შეფასებულია შესაბამისი სასწავლო კურსების ფარგლებში, თუმცა შემაჯამებელი პორტფოლიოს წარდგენა სავალდებულოა ყველასთვის და მისი შეფასება სპეციალური კომისიის მიერ ხდება „ჩათვლის“ მეშვეობით. გაწერილია პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმები, რომელსაც ის უნდა აკმაყოფილებდეს დადებითი შეფასების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ პორტფოლიოს არ აქვს მინიჭებული კრედიტი, თუმცა დადებითი შეფასების ანუ „ჩათვლის“, მიღება პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღების აუცილებელი პირობაა. ამავე დროს, სტუდენტი იღებს კომისიის წერილობით განმავითარებელ შეფასებასაც. ამდენად პორტფოლიოს შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ პორტფოლიოს შეფასებით არ ხდება კრედიტის მიღება, აღნიშნული შეფასება პროგრამის წარმატებით დასრულების წინაპირობად გვევლინება. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ იღებს დადებით შეფასებას აღნიშნულ კომპონენტში, მას ეძლევა გონივრული ვადა პორტფოლიოს გადასამუშავებლად და ხელახლა წარმოსადგენად. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, ასეთი შემთხვევა უნივერსიტეტში დაფიქსირებულია მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან მიმართებაში. ამდენად, შემაჯამებელი პორტფოლიოს შეფასების კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის წარმატებით დასრულების პროცესში. სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს „ჩათვლის“ სახით პორტფოლიოს შეფასების ფორმა, რათა არ მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსებში შემაჯავლი და ერთხელ უკვე შეფასებული აქტივობების ხელმეორედ „ჩათვლით“, შეფასება პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე.

უნივერსიტეტი სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით იკვლევს შეფასების ცალკეული ელემენტების ეფექტიანობას, მათ შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობას, შეფასების ობიექტურობას, შეფასების შედეგების ოპერატიულად გაცნობას სტუდენტისათვის, მიღებული შედეგის შესახებ ლექტორთან კონსულტაციის შესაძლებლობას და მიღებული უკუკავშირი სასწავლო კურსის შეფასების სისტემის განვითარების საფუძველი ხდება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია შეფასების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ-მოდულები, რომელთა მიზანი პედაგოგების პროფესიული განვითარებაა. ტრენინგები მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის გამოყენებულია ასევე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდები. მათ შორისაა სტუდენტთა და სტუდენტთა ჯგუფების ურთიერთშეფასება, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლისა და სტუდენტების ურთიერთშეფასება, რეფლექსია შესრულებული დავალების შესახებ. შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რადგან უვითარებს სტუდენტს დამოუკიდებელი პროფესიული პრაქტიკის განხორციელების აუცილებელ უნარებს. აღნიშნული გარემოება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მიერ ერთხმად იქნა დასახელებული პროგრამის ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ.

არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის ავტომატურ რეჟიმში, რაც ოპერატიულად ხდება ხელმისაწვდომი ლექტორისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამა;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
პრაქტიკის დოკუმენტი;
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს შემაჯამებელი პორტფოლიოს „ჩათვლის“ სახით შეფასების ფორმა, რათა არ მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსებში შემავალი და ერთხელ უკვე შეფასებული აქტივობების ხელმეორედ „ჩათვლით“, შეფასება პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის)

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვის სებისშეფასებისადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისაღწერითიმომოხილვა და ანალიზი

დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ელექტრონული სისტემა არგუსი იძლევა ლექტორებთან კომუნიკაციის, სილაბუსების, სასწავლო მასალისა და აკადემიური/კარიერული განვითარების

აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას. სტუდენტების ინფორმაციით ლექტორები ოპერატიულად პასუხობენ კითხვებს სასწავლო კურსების შესახებ, ლიტერატურას უტვირთავენ წინასწარ, ითვალისწინებენ მათ უკუკავშირის სილაბუსის განხორციელებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაცია სასწავლო გრაფიკს ადგენს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომად, ჩამენებული პრაქტიკისთვის სკოლების არჩევანს სთავაზობს როგორც უნივერსიტეტი, ასევე თვითონ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, აირჩიონ მათთვის სასურველი სკოლა და შესთავაზონ ადმინისტრაციას.

სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების ფორმა ცხადად ასახავს თანამშრომლობის პროცედურებს.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით სარგებლობისთვის სტუდენტები შეზღუდულები არიან პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულების ინფორმაციით უნივერსიტეტი მაინც ახერხებს შესთავაზოს მათ ხანმოკლე სასწავლო ვიზიტები მათი სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. სტუდენტებს აგრეთვე ეძლევათ საშუალება, ჩაერთონ პრაქტიკულ საგანმანათლებლო პროექტებში, ასისტირება გაუწიონ ლექტორებს, გაიარონ ტრენინგები უნივერსიტეტში არსებულ ცენტრში. თუმცა პრაქტიკულ საქმიანობასთან შედარებით მეტად არის შეზღუდული სამეცნიერო საქმიანობების ალტერნატივა - კონფერენციები, სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა.

სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებული უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო აქტივობების შესახებ. ყველა მათგანს უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე მისდის სრული ინფორმაცია შეთავაზებების შესახებ.

უნივერსიტეტის მიერ წახალისებულია სტუდენტის მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში. ამას მოწმობს საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდებთან თანამშრომლობის დოკუმენტები და ადმინისტრაციის ინფორმაციით, უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიც ითვალისწინებს საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის დაფინანსებას.

უნივერსიტეტის პერსონალი მუდმივად მზად არის კონსულტირება გაუწიოს სტუდენტებს. სტუდენტთა ინფორმაციით ადმინისტრაცია ოპერატიულად ახერხებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აკადემიური პერსონალი - უკუკავშირის მიცემას მათი პროფესიული განვითარებისთვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

მემორანდუმები გაფორმებულია 29 სკოლასთან, რაც უნივერსიტეტს ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი საკვლევი მონაცემების მოპოვებაში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუს“;

<p>ერასმუსთან თანამშრომლობის დოკუმენტი;</p> <p>პარტნიორ სკოლებთან მემორანდუმები;</p> <p>ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>ზოგიერთ პროგრამაზე (მაგ. ინგლისურის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა) სტუდენტებს სთავაზობენ პროფესიული განვითარების ტრენინგებს და სხვა სახის არაფორმალურ განათლებას. კარგი იქნება, თუ ტრენინგების შეთავაზება მოხდება ყველა მიმართულების სტუდენტებისთვის საგნობრივი და პედაგოგიური განვითარების მიზნით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p> <p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამილწევები, მათთანინდივიდუალურიიმუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისაღწერითიმომოხილვა და ანალიზი

ლექტორების კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.CV-ებში მითითებულია მათი სადოქტორო ნამუშევრები, ასევე სხვა სამეცნიერო პუბლიკაციები. 15 პროფესორიდან 8 გახლავთ მოწვეული.ყველა მათგანი აქტიურადაა ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში და იცნობენ განათლების უახლეს თეორიას და პრაქტიკას.

მოწვეული ლექტორების პირადი ინფორმაცია სრულად არის წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობაში; მათი ცოდნა, გამოცდილება და საქმიანობა სრულად არის დაკავშირებული იმ თემატიკასთან, რომელსაც ხელმძღვანელობენ არსებულ პროგრამაში. ლექტორების აკადემიური განათლება და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა შეესაბამება სტანდარტს, ყველა მათგანს აქვს ნაშრომი გამოცემული ბოლო 5 წლის

განმავლობაში;

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა საკონტაქტო საათები დაწესებულების ყველა საფეხურზე. დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი მათი დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში.

მოწვეული ლექტორების რაოდენობა შეესაბამება სტუდენტების რაოდენობას და მათი დატვირთვა გადანაწილებულია დადგენილი სტანდარტის მიხედვით. აკადემიური პერსონალის რაოდენობა (7) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელის სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობა უკავშირდება პედაგოგიკას. მისი საქმიანობიდან, სივიდან და გასაუბრებიდან ჩანს, რომ ახლოს იცნობს განათლების თანამედროვე სტანდარტებს და ნერგავს მათ არსებულ პროგრამაში. თანახელმძღვანელი კურირებს პროგრამის თემატურ, დარგობრივ მხარეს - ხელოვნების მიმართულებით. ის კარგად იცნობს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ეროვნულ სასწავლო გეგმას, როგორც თავად ხელოვნების, ასევე, ხელოვნების ისტორიის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს.

პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის მიმდინარეობის პროცესში, მუდმივად ღიაა მათთან კომუნიკაციისთვის, პასუხობს კითხვებს და იღებს უკუკავშირის დაბრკოლებების გარეშე.

პროგრამის ხარისხის განვითარებაზე ზრუნავს როგორც მთლიანად უნივერსიტეტის, ასევე კონკრეტულად მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მომუშავე ჯგუფები. ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ საჭირო ინფორმაციას, სტუდენტებთან კომუნიკაციისას დაყოფილი აქვთ უფლება-მოვალეობები. სტუდენტები კმაყოფილი არიან მათი რეაგირების სისწრაფით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პერსონალის CV, პირადი საქმეები;

საგანმანათლებლო პროგრამა;

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

გასაუბრება პერსონალთან;

პერსონალის დატვირთვა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უმჯობესი იქნება, თუ პერსონალის CV იქნება ერთ ფორმატში, რაც გააადვილებს თითოეულ მათგანში საჭირო ინფორმაციის მოძიებას და ამასთანავე, ყველა მათგანი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პერსონალის ინფორმაციით ისინი სარგებლობენ ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მათ აქვთ განცდა, რომ ადმინისტრაცია ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, მოწვეულია თუ აკადემიური პერსონალი. მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია სასწავლო თუ სამეცნიერო საქმიანობაში, მათი საერთაშორისო აქტივობები წახალისებულია ფინანსური მხარდაჭერით. არაფორმალური განათლების საშუალებით პერსონალს ეძლევა განვითარების და ცოდნის განახლების საშუალება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის მისაღებად.

პერსონალის პროფესიული მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდების მიერ გამოცხადებულ გრანტებში და მათთან წარმატებით თანამშრომლობს.

ფაკულტეტის საბჭოებზე განიხილება აკადემიური პერსონალის თითოეული წევრის სილაბუსი, პროგრამით და სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა შეირჩევა უნივერსიტეტის პოლიტიკის და ფასეულობების შესაბამისად. კვლევითი საქმიანობის ხარისხიანი შესრულების ვალდებულება განსაზღვრულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და ამ საქმიანობის შეფასების შედეგების გათვალისწინება უნივერსიტეტის პოლიტიკის დოკუმენტში ბუნდოვანია, თუმცა პერსონალი ადასტურებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებთან მჭიდრო კავშირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ერასმუს + აპლიკაციის ფორმები;

ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები - კითხვარები სტუდენტებისა და პერსონალისთვის, კმაყოფილების კვლევები;

ინტერვიუ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამა ამზადებს მასწავლებლებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობა გახდება ნებისმიერი საჭიროების მოსწავლის ინკლუზია განათლების სისტემაში. ამის მისაღწევად, სასურველია, მოწვეული ლექტორების იმ ნაწილს, რომელთა პროფესია და სილაბუსები არ ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის და ინკლუზიური განათლების ფილოსოფიის პრინციპებს, შესთავაზონ ტრენინგები ამ მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მატერიალური ბაზის სახით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განსაზღვრით, პროგრამა გამოიყენებს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ბაზას. უნივერსიტეტს აქვს თეატრის სივრცე როიალით, სადაც დაახლოებით 60-80 ადამიანისთვის ტარდება კონცერტები. უნივერსიტეტის შენობაში მდებარეობს ასევე 300 კაციანი დარბაზი საფორტეპიანო კონცერტებისთვის. სარეპეტიციო დარბაზები ვოკალური თუ ინსტრუმენტალური ჯგუფებისთვის, სამხატვრო სახელოსნოები და აუდიტორიები. საბიბლიოთეკო რესურსი: ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული რესურსებით, თანამედროვე ინფრასტრუქტურით. ელექტრონული ბიბლიოთეკა: უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და ლექტორს ხელი მიუწვდება როგორც საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების ვრცელ ბაზაზე, ასევე ამ უსდ-ში დაგროვებულ სამეცნიერო ცოდნაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუს“;
- უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა და ინფრასტრუქტურა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.Iliauni.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტში ნათლადაა დათვლილი უნივერსიტეტის შემოსავალი მოცემულ პროგრამაზე.</p> <p>პროგრამის შემოსავლის ნაწილის ხარჯვა გათვლილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურების გათვალისწინებით.</p> <p>ბიუჯეტის ნაწილი გათვლილია სასწავლო მასალასა და გაუთვალისწინებელ ხარჯებში.</p> <p>უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ცნობით ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ნათელს ხდის უნივერსიტეტის პოლიტიკასა და პრიორიტეტებს სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე საერთაშორისო გრანტების მხარდაჭერას, უფრო დეტალურადაა გათვლილი ცენტრალურ ბიუჯეტში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ</p>

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტისმოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალი ჩართულია პროგრამის თვითშეფასების პროცესში და თვითშეფასების დოკუმენტის შექმნაში. პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესი მიმდინარეობდა დაგეგმილი და ეტაპობრივი სახით, უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს მათთან მომიჯნავე პროგრამების განვითარების მიზნით.</p> <p>სტუდენტების ინფორმაციით, მომიჯნავე პროგრამის საწყის ეტაპზე, მათ რეკრუტირებაში ჩართული იყო უნივერსიტეტი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის საგნის გამოცდის ჩაბარების შემდგომ მათ დაუკავშირდათ უნივერსიტეტი და შესთავაზათ მასწავლებლის მომზადების პროგრამა. პროგრამის მიმდინარეობის ამ ეტაპზე მოთხოვნა მიწოდებაზე გაცილებით მაღალია და სტუდენტების თხოვნაა, დაემატოს ადგილები.</p> <p>ხარისხის მართვის სამსახურის მიერ სისტემატურად ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები პროგრამის თანამშრომლებს მიეწოდებათ ანონიმურობის დაცვით პროგრამის და პროფესიული განვითარების მიზნით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>ინტერვიუ ხარისხის განვითარების სამსახურის თანამშრომლებთან;</p> <p>ინტერვიუ სტუდენტებთან;</p> <p>კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევებიპროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):</p>

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამარეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა ახალია, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პირველად განხორციელებს სტუდენტების მიღებას. აკრედიტაცია, როგორც პროგრამის გარე შეფასების მექანიზმი, პირველად გამოიყენება პროგრამასთან მიმართებაში.</p> <p>პროგრამის შემუშავებისა და სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში გათვალისწინებულია მომიჯნავე პროგრამების გამოცდილება და კვლევის შედეგები. წარმოდგენილი პროგრამა გარე შეფასების მიღების მიზნით გაიგზავნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში და მიღებული რეკომენდაციები აისახა პროგრამის საბოლოო ვერსიაში.</p> <p>უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პროგრამასთან მიმართებით გარე ხარისხის მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;</p> <p>ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან,</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელებთან;</p>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიზანია თანამედროვე მასწავლებლის აღზრდა. როგორც მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებისგან გახდა ცნობილი, პროგრამის დასრულების შემდეგ მათი თავდაჯერება მაღალია სწავლების ყველა ასპექტში გარდა ერთისა - ნევროლოგიური, სოციალური და სხვადასხვა სინდრომით გამოწვეული რთული ქცევის მართვისა. პროგრამის ერთ-ერთი სილაბუსი „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა“ შეიცავს კლასის მართვის სტრატეგიებს, პოზიტიური გარემოს შექმნას, უდისციპლინო ქცევისგან თავის არიდების გზებს, თუმცა მასწავლებელს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის აგრეთვე ესაჭიროება ქცევის გამოყენებითი ანალიზის, დევიაციის ფსიქოლოგიის, ბრაზის მართვის, ქცევის დარღვევის ნევროლოგიური და სოციალური საფუძვლები. მასწავლებლის უფლებების ცოდნა გამწვავებული ქცევისას გაკავების პროცესში; დევიაციური ქცევის დაფიქსირებისას შესაბამის უწყებებთან რეფერირების პროცესის ცოდნა. პროგრამის სრულყოფისთვის მოცემულია რეკომენდაცია, გარდა არაფორმალური განათლებისა, რომლის საშუალებას ტრენინგის სახით იძლევა უნივერსიტეტი, პროგრამას დაემატოს ქცევის მართვის მინიმუმ არჩევითი კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტისმოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმომხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი განხორციელდა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით. მათი დადებითი უკუკავშირი და რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გათვალისწინებულია დასკვნის ფორმაში.

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი საერთაშორისო კოლეგების მხრიდან განმავითარებელი შეფასების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები მომიჯნავე პროგრამებზე, თუმცა არც ამის საჭიროებაა განსაზღვრული.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები სურვილისამებრ ავსებენ კურსის შეფასების კითხვარს. მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით კითხვარის შევსება ხდება არა მხოლოდ არგუსზე, არამედ სატელეფონო ზარით, რაც ზრდის კვლევის სანდოობას.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს უწყვეტი კონტაქტი აქვს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებთან; უცხოელ კოლეგებთან სასწავლო ვიზიტები და მათი მოწვევა ხორციელდება საერთაშორისო პროექტების ფარგლებში.

პროგრამის შედეგების ანალიზით ხარისხის მართვის სამსახური რეკომენდაციებს აძლევს პროგრამის თანამშრომლებს პროგრამის განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების სადეკლარაცია	<input checked="" type="checkbox"/>			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			
4. სწავლების რესურსები თუზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ღალანძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სალომე ჩარკვიანი

